სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

29 სექტემბერი, 2023 წ.

ბრძანება №01-02/186

„2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს სტუდენტთა ადმინისტრაციული რეგისტრაციის (სწავლის საფასურის გადახდის) ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 18 აგვისტოს N01-02/153 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის N19 დადგენილების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის“, „ბსუ-ს 2023-2024 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 21 ივლისის N06-01/77 დადგენილების (ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 22 სექტემბრის N01-02/181 ბრძანებით), „2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს სტუდენტთა ადმინისტრაციული რეგისტრაციის (სწავლის საფასურის გადახდის) ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის N01-02/153 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს სტუდენტთა ადმინისტრაციული რეგისტრაციის (სწავლის საფასურის გადახდის) ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 18 აგვისტოს N01-02/153 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების 1-ელი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) I ეტაპზე - 2023 წლის 15 სექტემბრიდან 16 ოქტომბრის ჩათვლით - სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ 40%;“

ბ) II ეტაპზე - 2023 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით - სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ 30%;

გ) III ეტაპზე - 2023 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით - სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ 30%.“

2. წინამდებარე ბრძანება ეცნობოს ბსუ-ს სტუდენტებს ბსუ-ს პორტალის მეშვეობით.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: „აკადემიური კალენდარი“ და „რექტორის აქტები“), ასევე ბსუ-ს პორტალზე და ბსუ-ს სოციალურ ქსელში.
4. ბრძანება დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძეს), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურსა და ფაკულტეტებს.
5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) კანონმდებლობითი დადგენილი წესით და ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**